ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ს. თ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 11.09.2013

**საჩივრის რეგისტრაციის** №119/13

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ო. ჩ. – ს მიმართ, /სიითი №

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ო. ჩ. – ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი:**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 11 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. თ. – მა და მოითხოვა ადვოკატ ო. ჩ. – ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ო. ჩ. 2005 წლიდან 2013 წლამდე იყო მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის – ო. ხ. – ის წარმომადგენელი სასამართლოში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა 2011 წლის 21 ოქტომბერს ახალციხის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მის მიერ წარმოდგენილ მოწმეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მოიხსენია ღირსების შემლახველი სიტყვებით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2012 წლის 29 ნოემბერს და 2013 წლის 13 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომების მიმდინარეობისას ო. ჩ. – მა გამოიჩინა არაეთიკურობა მასთან და მის ადვოკატთან ურთიერთობისას. კერძოდ, მან მის ადვოკატს ცილი დასწამა ყალბი სამედიცინო ცნობის წარმოდგენაში და მის მიმართ გააკეთა შეურაცხმყოფელი განცხადებები.

1.5 2014 წლის 30 იანვარს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ს. თ. – მა საჩივრის გარემოებებთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ 2011 წლის 21 ოქტომბერს სასამართლოზე მის მიერ მიყვანილი მოწმე – ზ. გ., წარმოადგენდა ადვოკატ ო. ჩ. – ს ძველ კლიენტს და მათ შორის ჩამოყალიბებული იყო არამეგობრული დამოკიდებულება. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ მოწმის მიერ სხდომის დატოვების შემდეგ ადვოკატმა მას უწოდა სულელი და აღნიშნა, რომ ასეთი ადამიანის სასამართლო პროცესზე დაკითხვა არ შეიძლებოდა.

1.6 საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ადვოკატმა დაარღვია კოლეგიალობის ვალდებულებაც და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გაამჟღავნა პროცესუალური მოწინააღმდეგის წარმომადგენელთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ადვოკატ ნ. გ. – ეს ნაშვილები ჰყავდა ბავშვი და ის მის ღვიძლ შვილს არ წარმოადგენდა. ამ ქმედებაზე ო. ჩ. – ს მოსამართლემაც მისცა შენიშვნა და მიუთითა, რომ ეს იყო კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის გახმაურებაც არ შეიძლებოდა.

## 2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ო. ჩ. – მა სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას წერილობითი ახსნა-განმარტებით მომართა 2013 წლის 21 სექტემბერს, რომლის თანახმად 2005 წლიდან იგი ახორციელებს საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგის – ო. ხ. – ის წარმომადგენლობას სასამართლოში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ს. თ. – ს სარჩელის საფუძველზე საქმე წარმოებდა ბორჯომის და ახალციხის რაიონულ სასამართლოებში, აგრეთვე სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში, თუმცა, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მას ყველა სასამართლო ინსტანციამ უარი უთხრა. შესაბამისად, რადგან ის საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა, მრავალი წლის განმავლობაში უწევდა მისი სარჩელის უსაფუძვლობის მტკიცება და მათ შორის ჩამოყალიბდა ერთგვარი დაპირისპირებული მხარეების ურთიერთობა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში საქმის წარმოებისას მოსარჩელე მხარე ს. თ. და მისი ადვოკატი პროცესებზე არ ცხადდებოდნენ, რის გამოც იგი ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნის პირველ ორ შემთხვევაში სასამართლომ ისინი არ დააკმაყოფილა. 2013 წლის 21 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელე მხარე კვლავ არ გამოცხადდა პროცესზე და ამის მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა, რის

დასადასტურებლადაც ფაქსის საშუალებით წარმოადგინა სამედიცინო ცნობა. ადვოკატმა პროცესზე მოითხოვა არ მიეღო სასამართლოს ეს ცნობა მტკიცებულებად, ვინაიდან შედგენილი იყო არაკომპეტენტური პირის მიერ და ამასთან ს. თ. – ს გამოცხადება პროცესზე არ იყო სავალდებულო მაშინ, როცა მას წარმომადგენელი ჰყავდა აყვანილი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატის ეს პოზიცია და მოსარჩელეს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ადვოკატის განმარტებით, ს. თ. საჩივარში სწორედ ამ ფაქტზე უთითებს, როდესაც ამბობს, რომ ადვოკატმა მას ცილი დასწამა ყალბი მტკიცებულების წარმოდგენაში, რაც უსაფუძვლოა და რეალობას არ შეესაბამება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო წესით. საკასაციო საჩივარზე ადვოკატმა დაწერა შესაგებელი, სადაც აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება იყო კანონიერი და დასაბუთებული, ვინაიდან მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობები შედგენილი იყო არაკომპეტენტური პირის მიერ და არ ასახავდა რეალობას. ადვოკატი მიუთითებს, რომ სწორედ აღნიშნული ყველა მისი ქმედების და მოპასუხე მხარის კვალიფიციურად დაცვის გამო მიიჩნიეს თავი შეურაცხყოფილად ს. თ. – მა და მისმა წარმომადგენელმა – ნ. გ. – მ, რის შედეგადაც დაადანაშაულეს იგი არადელიკატურობასა და ცილისწამებაში.

2.5 ადვოკატის განცხადებით, საჩივარში აღნიშნული გარემოება, თითქოს მან შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლო პროცესზე წარმოდგენილ მოწმეს – ზ. გ. – ს, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან აღნიშნული მოწმის მიმართ მას არანაირი აზრი დაუფიქსირებია, გარდა იმისა, რომ წარმოადგინა მისი ჩვენებების უსაფუძვლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სასამართლომ მისი ეს პოზიცია გაიზიარა და მოწმის ჩვენება უსაფუძვლოდ მიიჩნია.

2.6 ადვოკატის განცხადებით, პროცესუალურ მოწინააღმდეგესთან ურთიერთობისას მას არ დაურღვევია ეთიკის კოდექსის არცერთი მუხლი და ს. თ. – ს საჩივარი მის მიმართ არის უსაფუძვლო.

## II სამოტივაციო ნაწილი

### 3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ო. ჩ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ საერთო სპეციალიზაციის. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ს. თ. – მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2013 წლის 11 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2011-2013 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (2009 წლის რედაქცია) არ

არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

## 4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ო. ჩ. – ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

## 5. სამოტივაციო ნაწილი

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ო. ჩ. – მა მის მიერ წარმოდგენილ მოწმეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მოიხსენია ღირსების შემლახველი სიტყვებით, მის ადვოკატს ცილი დასწამა ყალბი სამედიცინო ცნობის წარმოდგენაში და მის მიმართ გააკეთა შეურაცხმყოფელი განცხადებები, ასევე გაამჟღავნა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას პროცესუალური მოწინააღმდეგის წარმომადგენელთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

5.2 მოწმისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შესახებ საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“;

5.2.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებები“;

5.3 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ მოწმის სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის, უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე N075/10 დაადგინა, რომ „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც

სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს.“

5.5 საჩივრის ავტორმა 2014 წლის 30 იანვარს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ ადვოკატმა მოწმეს ,,სულელი“ სხდომის დატოვების შემდეგ უწოდა და აღნიშნა, რომ ასეთი ადამიანის სასამართლო პროცესზე დაკითხვა არ შეიძლებოდა.

5.6 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით: ,,დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე.“,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-17 მუხლის მიხედვით: ,,1) მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები; 2) თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები“ ზემოთ მოყვანილი დებულების მე-16 მუხლისა და მე-17 მუხლის საფუძველზე ეთიკის კომისიაში საქმის განხილვისას მხარეთა შორის მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ო. ჩ. – მა მოწმეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო ადვოკატი უარყოფს ასეთი ქმედების განხორციელების ფაქტს. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ როგორც საჩივრის ავტორს, ასევე ადვოკატ ო. ჩ. –ს ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობები საქმის გამოკვლევის ეტაპზე წარმოედგინათ მტკიცებულებები. ს. თ. – ს, როგორც საჩივრის ავტორს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ადვოკატმა ო. ჩ. – მა მოწმეს მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით. 2011 წლის 21 ოქტომბერს ახალციხის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოდგენილი მოწმისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმით. საჩივრის ავტორმა როგორც დააზუსტა ეს მოხდა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად საჩივრის ავტორს სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულება და, ასევე, არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობაზე, რომლითაც დადგინდებოდა ადვოკატის მიერ მოწმისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. მოწმისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების

ფაქტი ვერაფრით დასტურდება, გარდა საჩივრისა, შესაბამისად საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ო. ჩ. – ს ქმედებაში ვერ აღმოაჩინა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნტების მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა აღნიშნული მიზეზით ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

5.7 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატ ო. ჩ. – მა 2012 წლის 29 ნოემბერს და 2013 წლის 13 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომების მიმდინარეობისას მისი ადვოკატის მიმართ გააკეთა შეურაცხმყოფელი განცხადებები და ცილი დაწამა ყალბი სამედიცინო ცნობის წარმოდგენაში აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–6 მუხლში განსაზღვრულია თუ რა შეიძლება გახდეს დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი. აღნიშნული მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია ,,პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა." ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე." დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად." ს. თ. – ს განცხადებიდან, ჩანს, რომ დაირღვა არა მისი, არამედ მისი ადვოკატის უფლებები. შესაბამისად, ადვოკატ ო. ჩ. – ს მიერ 2012 წლის 29 ნოემბერს და 2013 წლის 13 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომების მიმდინარეობისას ს. თ. – ს ადვოკატის მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებებისა და ყალბი სამედიცინო ცნობის წარმოდგენაში ცილის დაწამების თაობაზე პრეტენზიასთან მიმართებაში ს. თ. ითვლება არაუფლებამოსილ განმცხადებლად. მის ადვოკატს უფლება აქვს აღნიშნული პრეტენზიით თავად მომართოს ეთიკის კომისიას საჩივრით.

5.8 სამედიცინო ცნობასთან დაკავშირებით ადვოკატმა განმარტა, რომ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში საქმის წარმოებისას მოსარჩელე მხარე ს. თ. და მისი ადვოკატი პროცესებზე არ ცხადდებოდნენ, რის გამოც იგი ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნის პირველ ორ შემთხვევაში სასამართლომ ისინი არ დააკმაყოფილა. 2013 წლის 21 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელე მხარე კვლავ არ გამოცხადდა პროცესზე და ამის მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა, რის დასადასტურებლადაც ფაქსის საშუალებით წარმოადგინა სამედიცინო ცნობა. ადვოკატმა პროცესზე მოითხოვა არ მიეღო სასამართლოს ეს ცნობა მტკიცებულებად, ვინაიდან შედგენილი იყო არაკომპეტენტური პირის მიერ და ამასთან ს. თ. – ს გამოცხადება პროცესზე არ იყო სავალდებულო მაშინ, როცა მას წარმომადგენელი ჰყავდა აყვანილი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატის ეს პოზიცია და მოსარჩელეს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ადვოკატს ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ადვოკატი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, რაც გულისხმობს, რომ იგი მოქმედებს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე კანონისა და ეთიკის ნორმების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაშიც ადვოკატი ო. ჩ. მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით და იყენებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ უფლებებს, რაც ადვოკატის მოვალეობას წარმოადგენს.

5.9 საპროცესო კოლეგია ადვოკატ ო. ჩ. – ს მიერ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას პროცესუალური მოწინააღმდეგის წარმომადგენელთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის, შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება წარმოადგენს სსსკ–ის 175–ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. ამ გარემოების შეფასება შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას, თუმცა ამ შემთხვევაშიც განცხადებელი უნდა იყოს ის პირი, კერძოდ ო. ჩ. – ს პროცესუალური მოწინააღმდეგე, რომელიც ფიქრობს, რომ ადვოკატის ამ ქმედებით მისი უფლება შეილახა.

## III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით, 32–33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–6 მუხლის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით, მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით, 16–17 მუხლებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. №119/13 დისციპლინურ საქმეზე არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ო. ჩ. – ს მიმართ /სიითი №/.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/